



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის

ტიტე აროშიძის

საქმიანობის ანგარიში

(01.09.2021-31.12.2022წწ)

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.....	2
1.1. საქმიანობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში	2
2. თანამდებობრივი და კანონშემოქმედებითი საქმიანობა	2
3. საზედამხედველო საქმიანობა	3
4. თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო	5
4.1. მიღებული წერილები და განცხადებები.....	5
5. ადგილობრივი ხელისუფლების და ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობა	7
6. ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.....	8
7. ამომრჩეველთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და ინფორმირება	9
8. ახალგაზრდებთან კომუნიკაცია.....	10
9. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	10
10. სოციალური ქსელი.....	11

1. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის შესახებ

საქმიანობის ანგარიში შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დ¹ ქვეპუნქტის შესაბამისად და მოიცავს ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ მისთვის მინიჭებული კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განხორციელებული აქტივობების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება.

1.1 საქმიანობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში:

- ბათუმის მაჟორიტარი წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარე;
- საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი;
- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრი;
- ღია მმართველობის საბჭოს წევრი;
- ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.

2. თანამდებობრივი და კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო:

- ✓ 10 პლენარული სხდომა;
- ✓ 25 ბიურის სხდომა;
- ✓ 5 ღია მმართველობის საბჭოს სხდომა;
- ✓ 37 კომიტეტის სხდომა

საკომიტეტო ფორმატში ჯამში განხილულ იქნა 73 საკითხი, 25 დასკვნა და 3 პეტიცია.

აქტივობა პლენარულ და კომიტეტის სხდომებზე:

- ✓ პლენარულ სხდომებზე -8 კითხვა/განცხადება;
- ✓ კომიტეტის სხდომებზე - 22 კითხვა/მოსაზრება.

ხაზინადართა საბჭო

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს ხაზინადართა საბჭო ახორციელებს უმაღლესი საბჭოს საფინანსო საქმიანობის კონტროლს“.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა ხაზინადართა საბჭოს 6 სხდომა.

3. საზედამხედველო საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე, მინისტრის საათის ფორმატში, მოსმენილ იქნა საქმიანობის შესახებ შემდეგი ანგარიშები:

- ✓ 21 აპრილი, 2022 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის -გიორგი სურმანიძის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;
- ✓ 21 აპრილი, 2022 წელი -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნინო ნიჭრადის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;
- ✓ 19 მაისი, 2022 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის- მაია ხაჯიშვილის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;
- ✓ 10 ივნისი, 2022 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის- ჯაბა ფუტყარაძის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ.
- ✓ 07 ივნისი, 2022 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ.

საკომიტეტო საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშების მოსმენა/განხილვა:

საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციის მოსმენა „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის ფარგლებში შესრულებული პროექტების შესახებ. (01.01.2021-30.11.2021წწ);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში;
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა (2023-2026 წწ);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია მიმდინარე წელს აჭარაში ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით;
- სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე წელს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაცია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის ფარგლებში შესრულებული პროექტების შესახებ. (01.01.2022-22.12.2022წწ);
- ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ 2021 წლის და 2022 წლის 10 თვის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის განხილვა.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი

- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022-2025 წლების პრიორიტეტები;
- 2021 წლის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის, აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოს 2021 წლის სამუშაოების მიმდინარეობის და მოსახლეობის სოციალური ჭრის შედეგად ხე-ტყით დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2021 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობის და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია;
- ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ 2021 წლის სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის და შესრულების შესახებ ინფორმაცია (2021 წლის 01 დეკემბრისთვის);
- ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.


4. თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო წარმოადგენს:

- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისათვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევითა და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით;
- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თათბირების, შეხვედრებისა და მიღებების (მათ შორის მოქალაქეთა მიღების) ორგანიზება;
- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სახელზე შემოსულ კორესპონდენციებზე პასუხების მომზადება.
- მაჟორიტარი დეპუტატის 2 წარმომადგენელი მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულების კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით ახორციელებს მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.


4.1 მიღებული წერილები და განცხადებები. მათზე განხორციელებული რეაგირება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრქაცია კომიტეტებიდან, აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან და თანამრომლებიდან შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა და მათზე განხორციელებული რეაგირება	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	151 კორესპონდენცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	177 კორესპონდენცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და მათზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	101 კორესპონდენცია



ინფორმაცია მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების თაობაზე

თავმჯდომარის მოადგილის მიერ მიღებულ იქნა 218 მოქალაქე, რაზეც კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.



5. ადგილობრივი ხელისუფლების და ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობა

განხორციელებული აქტივობები:

- ✓ სამუშაო შეხვედრები;
- ✓ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შეფასება/დათვალიერება.

3 თებერვალი 2022 წ.

- შეხვედრა ჯავახიშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან. (აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის თხოვნით უახლოეს პერიოდში დაიწყება საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს ორი სოციალური სახლის მშენებლობა, რომლებიც ექსპლუატაციაში წელსვე შევა. უკვე დასრულდა რიგი ქუჩებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, განხორციელდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, დამონტაჟდა ტრენაჟორები და საჭიროებისამებრ ჩატარდა მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია).

7 თებერვალი 2022 წ.

- სამუშაო შეხვედრა ახალი ბულვარის ნაპირსამაგრი სამუშაოების საკითხთან დაკავშირებით. (შტორმის შედეგად დაზიანებული სანაპიროს აღდგენა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები).

31 მაისი 2022 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაათვალიერა.

3 აგვისტო 2022 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან, არჩილ ჩიქოვანთან ერთად წყალარინების მაგისტრალური ქსელისა და სატუმბი სადგურების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

5 აგვისტო 2022 წ.

- ქალაქ ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N78ა-ში ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის ფარგლებში, ახლად აშენებულ ხუთსართულიან კორპუსის ახლადშესახლებული 40 ოჯახს ახლამოსახლეობა მიულოცა.

17 სექტემბერი 2022 წ.

- ქალაქის ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

28 სექტემბერი 2022 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად, კუმუკინის ქუჩაზე ახალი სკვერის მოწყობისა და ლორიას ქუჩების კვეთაში არსებულ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სკვერში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

3 ოკტომბერი 2022 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად, ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ ახალი ბაღის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

23 ნოემბერი 2022 წ.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჭვაძესთან, ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ბაგრატიონის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

14 დეკემბერი, 2022 წ.

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან- ჯაბა ფუტყარაძესთან და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად „ოცნების ქალაქის“ პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე სამი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, სადაც დაახლოებით 582 ბინა მოეწყობა.

22 აგვისტო, 2022 წ.

- თავმჯდომარის მოადგილის ინიციატივით და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 2021 წელს ტრაგიკულად დაღუპული, საგანგებო სიტუაციების მართვის აჭარის სამმართველოს ბათუმის განყოფილების თანამშრომლის თორნიკე კიპაროიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N45 -ში მდებარე სახანძრო-სამაშველო შენობაზე განთავსდა მემორიალური დაფა.

6. ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა

28 აპრილი 2022 წ.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან - სოლომონ პავლიაშვილთან ერთად, ბათუმის რეგიონულ ლაბორატორიაში გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო. განხილული იქნა მიმდინარე აქტუალური საკითხები, გაეცნო ლაბორატორიის შესაძლებლობებს, მიღწევებსა და სამომავლო გეგმებს.


8

26 ივლისი 2022 წ.

- მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლით სხდომას რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში გაიმართა. გასვლითი სხდომის ფარგლებში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის - ზაზა შავაძის ინფორმაცია მოისმინეს 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და გაეცნენ 2022 წლის პროგრამებს.

7. ამომრჩევლეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და ინფორმირება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა - ქალაქ ბათუმის სამაჟორიტარო ოლქში 55 მისამართზე და დაახლოებით 3200 მოსახლესთან შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებზე მოსმენილ იქნა მათთვის მიმდინარე აქტუალური საკითხები და დასახულ იქნა მოგვარების გზები. ამასთანავე განხორციელდა მოსახლეობის ინფორმირება ქალაქში განსახორციელებელი პროექტების და არსებული პროგრამების შესახებ.



8. ახალგაზრდებთან კომუნიკაცია

- საკანონმდებლო ორგანოს როლის და ფუნქციების გაცნობის მიზნით შპს „კავკასიის ბიზნეს სკოლის“ მოსწავლეებს უმასპინძლა.
- შეხვედრა შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო და ევროინტეგრაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების როლი ევროინტეგრაციის საკითხებში და ახალგაზრდების ჩართულობა“.
- შეხვედრა აჭარის ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის წარმომადგენლებთან. რომელთა შორისაც, გაცვლითი პროგრამით, აჭარაში მყოფი პოლონელი მოსწავლეები იმყოფებოდნენ ქალაქ ვროცლავიდან,
- გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად გონიოს სანაპირო ზოლის დასუფთავების ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

9. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა

31 იანვარი 2022 წ.

- შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელთან საქართველოში, დასან ხალილისთან. შეხვედრა თემაზე ბავშვთა უფლებების დაცვა, მათ წინაშე არსებული გამოწვევების - ბულინგის, ძალადობის სხვა ფორმების აღმოფხვრა, სამოქალაქო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი აქტივობები და სკოლამდელი და ზოგადი განათლების გაძლიერების საჭიროებები.

10 მარტი 2022 წ.

- სამუშაო შეხვედრა, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და საზღვაო ნარჩენების შემცირება შავი ზღვის ეკოსისტემის დასაცავად“ (LitOUTer) გაიმართა.
სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა პარტნიორი ქვეყნებისთვის პროექტის მიზნების, მისი მიმდინარეობის, განსახორციელებელი ღონისძიებების და მიღწეული შედეგების გაცნობას. ღონისძიებას პროექტის პარტნიორი ქვეყნების - საქართველოს, თურქეთის, რუმინეთის და ბულგარეთის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

13-14 ოქტომბერი 2022 წ.

- ვიზიტი ბელგიის სამეფო დედაქალაქ - ბრიუსელში. ვიზიტის ფარგლებში ევროპის რეგიონთა გენერალური ასამბლეის სხდომას დაესწრო, გამართა შეხვედრები ევროპის რეგიონთა ასამბლეის მოქმედ და ყოფილ გენერალურ მდივნებთან - კრისტიან სპარსსა და მეთეუ მორსთან, ევროპარლამენტარ ლუკას მანდლსთან. ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნა - სამომავლო ურთიერთობები, პერსპექტივები, პრიორიტეტები და არსებული გლობალური გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის ცალკეული საკითხები.

10. სოციალური ქსელი


<https://www.facebook.com/GDTiteAroshidze/>

✓ სოც ქსელით შემოსული შეტყობინებები

საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით შემოსულია 131 პირადი შეტყობინება, რაზეც კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

✓ გვერდის გამომწერების რაოდენობა: 3326

სოციალური ქსელის გამომწერების აუდიტორია



გამომწერთა ასაკი